პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 230 (7791)
2 დეკემბერი
კვირა,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

როგორც თანასწორი თანასწორთან

თბილისი. სპორტის სასახლე. 1 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა 88:104 (44:45).

„დინამო“: კაპუტანი (25), ბოროდაჩოვი (8), სანაძე, დარსაძე (10), ტოუბანი (8), დერიუგინი (30), მილოვიდოვი (14).

ცსკა: ერიომინი (2), გუსევი (8), ტარაკანოვი (19), კუზმინი, ლოპატოვი (7), ენდეი (20), ტკაჩენკო (28), ბაზარევიჩი, ტიხონენკო (16), პანკრაშკინი (4).

მსჯავრი: იუზას ხტორპარშტასი (ლიტვა) და ბორის ცარიკოვი (გომელი).

დუბლიორები — 96:99 (49:42).

ქვეკონტროლი მეტოქეების ცსკა-სა და თბილისის „დინამოს“ შეხვედრას ყოველთვის მოუთმენლად ელის მაყურებელი და არც თუ ტყუილად. ეს მატჩები, მიუხედავად გუნდების სატურნირო მდგომარეობისა, მიუხედავად იმისა, რა ეტაპზეა და რა ხასიათისაა, ერთობ საინტერესოდ მიმდინარეობს.

გამონაკლისი არც გუშინდელი მატჩი ყოფილა. მასპინძლები დამარცხდნენ ამ ორთაბრძოლაში, მაგრამ მარცხიც არის და მარცხიც. მოსკოველ არმიელები იშვიათად იბრძვიან სრული მობილიზებით, მით უმეტეს, მატჩის დასაწყისიდან დასასრულამდე. ცსკა ერთობ ზზრაფად აძლევს ხოლმე თავს სულის მოთქმის უფლებას, ასე ვთქვათ, ძალებს იზოგავს. გუშინ მოსკოველ კალათბურთელებს ამის საშუალება არ მისცემთან და თუნდაც ეს ფაქტი აშკარად ლაპარაკობს იმაზე, რომ თბილისელებმა, დამარცხების მიუხედავად, საკმაოდ კარგად ითამაშეს.

რა თქმა უნდა, იყო დასაბნინშეცდომები, იყო ისეთი მომენტებიც, როცა კაცი ვერ იტყოდა, ვისკენ გადაიხრებოდა გამარჯვების ბინა, მაგრამ საბოლოოდ მაინც შეხვედრა უფრო გამოცდილმა, ამ კონკრეტულ თამაშში უფრო ძლიერმა მოიგო.

ცსკა დღეს ის ძველი დაუმარცხებელი გუნდი ალარ არის და ეს მშვენივრად იცოდნენ თბილისელებმაც. ერთი სიტყვით, არსებობდა მოსკოველთა დამარცხების ერთობ დიდი შანსი და ალბათ ამანაც განაპირობა მასპინძელთა მეტისმეტი ნერვიულობა. უფუფად ამით უნდა აიხსნას დარსაძისა და ტიუბანის, ნაწილობრივ ბოროდაჩოვისაც, ცოტა არ იყოს, მორიდებული თამაში. დარსაძისა და ტიუბანის „არ წაუვიდათ“ მორი ტყორცნები, ბოროდაჩოვი კი გაუბედავად იბრძოდა ფარქვეშ. სხვათა შორის, სამივე კალათბურთელმა მშვენივრად თამაშობ ტერის ოთხი მატჩი და თუ მეხუთეშიც ვერ შეძლეს თავისი გადამწყვეტი სიტყვა ეთქვათ, მაინდამაინც გულდასაწყვეტი არ უნდა იყოს.

შეხვედრა „დინამოსთვის“ საკმაოდ უიღბლოდ დაიწყო — პირველი სამი წუთი მხოლოდ ერთი ზუსტი ტყორცნით აღინიშნა. ბუნებრივია, ცსკა-მ ისარგებლა ამით და სწრაფად დაწინაურდა. მომდევნო სამი წუთი 9-ქულიანი განსხვავების ლავდაცვის დასჯრთდა — 12:12. მე-16 წუთზე მილოვიდოვს წინ გაპაკეს თავისანები — 39:38. ამის შემდეგ მეორე ტაიმის მე-15 წუთამდე ეს უფლიერდეენნა არ დამცხრალა — წინ ხან თბილისელები არიან, ხან — მოსკოველები. „დინამომ“ კიდევ ოთხჯერ მოახერხა დაწინაურება, ანგარიში ბეკეჯერ იყო „სავიდო“, ბეკეჯერ მიეცათ მასპინძლებს ისე თუ ისე მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა, მაგრამ შეიქმნებოდა თუ არა სამისო ვითარება, თბილისელებს სიმშვიდე ლაღობდათ და ცსკა კვლავ იბრუნებდა შერყეულ პოზიციებს.

ტაიმი სტუმრებმა ერთი ქულით მოიგეს. როგორც ჩანს, გარდატეხის მომენტი დადგა მაშინ, როცა ტკაჩენკომ მეოთხე პერსონალური შენიშვნა მიიღო, დროებით სათადარიგოთა ხკამზე გადაინაცვლა და კაპუტინმა და დერიუგინმა ანგარიში გაათანაბრეს — 61:61. „დინამომ“ 7 წუთის განმავლობაში ვერ მოახერხა დაწინაურება და ფაქტიურად მატჩიც წააგო, რადგან მე-14 წუთზე მოედანზე დაბრუნებულ ტკაჩენკოს როგორც შორი, ისე ახლო მანძილიდან ტყორცნასას თითქმის ალარ მოკარეა ხელი. „დინამო“ ერთხანს კიდევ ცდილობდა დანაკარგის ანაზღაურებას, მაგრამ მთელი სიმძლავრით ამოუშავებელი ცსკა-ს შეჩერება შეუძლებელი გამოდგა — 88:104. ასე დამთავრდა ეს საინტერესო მატჩი.

ახლა უმაღლესი ლიგის თორმეტ გუნდს რვა ფინალისტის გასარკვევად კიდევ ერთი ტური — 6-ნ თამაში აქვს გასამართავი. თბილისის „დინამოს“ ძალზე კარგი შანსი აქვს და ალბათ მოხვდება კიდეც რჩეულთა შორის, თუმცაღა იქ საპატიო ადგილის მოსაპოვებლად დიდი ბრძოლებს გადახდა მოუწევს. რა თქმა უნდა, მარტო საფუძველს მოკლებულ სურვილს არ გამოვხატავთ, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს გუნდს სწორედ თავისი საკალათბურთო პოტენციის წყალობით ნამდვილად შეუძლია ამ ორივე ამოცანის გადაწყვეტა.

ირაკლი ბერიაშვილი.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

თბილისის ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	16	14	2	1668-1332	30
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	16	9	7	1323-1287	25
„დინამო“ (თბილისი)	16	8	8	1458-1542	24
„სტატბა“ (ვილნიუსი)	16	6	10	1397-1497	22
„უნივერსიტეტი“ (ტაშკენტი)	16	5	11	1366-1457	21
„სპარტაკი“ (ვლადივოსტოკი)	16	4	12	1386-1481	20

სხვა მატჩები: „სტატბა“ (ვილნიუსი) — „სპარტაკი“ (ვლადივოსტოკი) 87:86 (51:51), „სპარტაკი“ (ლენინგრადი)—„უნივერსიტეტი“ (ტაშკენტი) 91:80 (50:46).

ორი ქართული ფინალი

ქრასნოიარსკში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა ძიუდოში სპორტსაზოგადოება შორის (1963-66 წლებში დაბადებულნი). ჩვენი რესპუბლიკიდან ამ შეჯიბრებაში ათი სპორტსმენი მონაწილეობდა. მათგან ყველაზე მეტი, ექვსი ძიუდოისტი „დინამოს“ ღორსებას იცავდა. შესანიშნავად ისაპარტსმენი, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე ისაბრაზებენ, ჩვენი რესპუბლიკა სრული შემადგენლობით ვერ წარსდგა. რამდენიმე ძიუდოისტი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ეგზავდა სტარსბურგის სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის (20 დეკემბერი).

აკაკი ჯიბრაკალიძე



ავთანდილ გუგეშავა

ინფორმაცია

ქალაქ ნიენი ტაგიღში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „ტრუდის“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ხუთი განთიადელი სპორტსმენი მონაწილეობდა. შესანიშნავად ისასპარეზა თბილისელმა ზურაბ სამხარაძემ (75 კგ, მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ომარ ეგაძე), რომელმაც ხუთივე შეხვედრა აშკარა უპირატესობით მოიგო და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. III ადგილზე გავიდა ცხაკაიელი გურამ შონია (+97), რუსთაველმა ზაზა ხუციშვილი (65) IV ადგილი დაიკავა.

ასევეთვე პირველობა ჩატარდა ხარკოვში ზენიტელ „კლასიკოსთა“ მონაწილეობით. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლთაგან ოქროს მედლები მოიპოვეს კობა გუჩაშვილმა (45 კგ) და პაატა ბერაძემ (97), ვერცხლისა — დავით სანოძემ (+97).

კლასიკური ჭიდაობა

ლენინგრადში გაიმართა „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საბჭოს სპორტსმენებმა 20 გუნდთან პაექრობაში II ადგილი დაიკავეს. პირად შეჯიბრებაში ოთხი წმინდა გამარჯვებით ოქროს მედალი მოიპოვა გ. პაპაშვილმა (42 კგ), ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ გ. ჩოკოშვილი (70), ზ. ქორქმანი (81) და კ. ყახიანი (97).

გუნდი მოამზადეს შ. გაფრინდაშვილმა და ვ. გოგიაშვილმა.



ᲙᲘᲣᲓᲝ

სამ ქალაქში

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლური მომზადების კათედრის გამგე, პროფესორი ნოდარ ჯაფარიძე ახალგაზრდა მომღერლებისადმი ალბრეხტ ოფოლ და კეთილშობილურ საქმეს ემსახურება. მისი რეკომენდაციით სოლური სტუდიის ხელოვნ (სადაც ერთ დროს თვითონ მღერიდა) დაიდგა ფალიაშვილის „დალინ“, ვერდის „ტრავიატა“, ბიზეს „მარგალიტის მაძიებლები“, ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“...

დიახ, მას, როგორც ხელოვანს, ისე ინსპირს, ჩვენ კი როგორც სპორტის დიდ ქომაგად და საქართველოს რადიოს სპორტულ კომენტატორად დაგვაბეზოლია თავი. ამიტომ გადავწყვიტეთ მასთან სპორტზე გვესაუბრა.

● რა როლს ასრულებს სპორტი თქვენს ცხოვრებაში?

— ოო, ერთ-ერთ მთავარს. ასე იყო საშუალო სკოლაში, კოსსაერთორიის ეოყალურ ფაკულტეტზეც და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის საოპერო თეატრშიც. მოგეხსენებათ ერთხანს პროფესიული სპორტული კომენტატორი გახლდით. ერთი სიტყვით, სპორტი ჩემი მეორე ცხოვრებაა!

● როგორ დაიწყეთ კომენტატორობა?

— სპორტის ნამდვილი ფანატიკოსია, ისე გაიცნო ჩემი თავი ცნობილმა ტანმოვარჯეშმა გრიგოლ მამარაფაშვილმა საქართველოს რადიოს მაშინდელ ხელმძღვანელებს. დავიწყე მუშაობა „უკანასკნელ ცნობებში“ და ერთი უმნიშვნელო სიასტის ავტორი გავხდი — თუ აღრე სპორტულ ცნობებს მხოლოდ დიქტორი კითხულობდა, ახლა ყოველ საღამის ოთხი-ხუთი წუთით მითმობდნენ მიკროფონს. მაშინ მუშაობა ძნელი იყო. ახლა ჩვენს რადიოსა და ტელევიზიას ათიმდი მიმიმხილველი და კორესპონდენტი ჰყავს. გვეკითხა სხვა ქალაქებიდან ცნობების მიღება. ერთხელ ნიკოლოზ ოზრიოვი გვეწვია, ისე მოეწონა ჩვენი სპეციალური სპორტული „ხუთწუთიანი“, რომ მაგ საკმარისო რადიოშიც „დანერგა“.

● სპორტში კუროზნი არც ისე იშვიათია. თქვენ ვერაფერს გაიხსენებთ?

— რამდენჯერ მიგვიღია მცდარი ინფორმაცია, შემოწმების დრო ხდ იყო... მაგრამ ახლა ერთ გუბერნიაზე მინდა მოგახსენოთ. ეეხეკაში ჩვენი „დინამოს“ ალაბამპოლეველი მადრიდის „რეალს“ ხვდებოდნენ. ეეროპის ჩვეულების ჩემპიონთა თასის ფინალურმა შეხვედრამ არნახული ინტერესი გამოიწვია. გულშემატკივრებმა სული ამოგვართვეს, გახუნუფეტლად გვერეკავდნენ. ვანთიდისს, როგორც იქნა, შემაერთეს ენეეკან. ველაპარაკე „დინამოს“ სპორტსაზოგადოების ერთ-ერთ მაშინდელ ხელმძღვანელს ეეტაზნე, დიდიანს, აგრეთვე ლევან ინწკირველსა და ალექსანრე კლაქს. ქართველი კალათბურთელების გამარჯვებამ ისე გამაბარა, რომ იმ ალიობზე პირდაპირ მიკროფონთან წვიეიობდ ცნობა, რომელსაც მთელი საქართველო ელოდა. როცა „დინამო“ თბილისში ჩამოვიდა, აეროპორტში სახელახლად გამართულ მიტინგზე გამოსულ ერთმა სტუდენტმა გიხსენა ის მღელვარებით სავსე ღამე, როგორ ელოდა ცნობას და როგორ შეიტყო ეს ამბავი დილით რადიოში გამოსულ... კოტე ბაბარაძისაგან!

● თუ არ ვცდები თქვენს რადიომიმოხილვებში ჭამეკანი ადგილი ფეხბურთს ეკავა.

— დიახ! ფეხბურთს ჩემს ცხოვრებაში მუდამ საგანგები ადგილი ეთმობოდა. 1949 წელს ვერაზე, ყოფილი მე-18 სკოლის ეზოში სხვადასხვა უბანს ბიეიბმა დიდი ტურნირი მოვაწყეთ. სხვათა შორის, ჩვენს ბატონებზე დასასწრებად ცნობილი სპეციალისტებიც კი მოდიოდნენ. როგორ გგონიათ, გენდებს რა ერქმეოდათ... — „თეატრალური მგლები“ „ქარაშბალი“, „სილაშაზე“, „მინდიერის რისხვა“. რა გვექნა, თავი მოგვწონდა. იცით ვინ თამაშობდა ამ გუნდებში? ეროსი მანჯგალაძე, ნოდარ ჩხეიძე, ნოდარ ნაკაშიე, კოტე მახარაძე, რევი ჩიქოვანი, კარლო ნიკოლაძე, გელამ პატარაია, დათო ყიფიანი (მამა), ვოვი თოთიბაძე, ძმები ფელბარ, ალეკო და ოთარ გაგუები, ნოდარ გრიგორაშვილი, ოთარ სოლომონია, ზურაბ რცხილაძე...

● თქვენ ფეხბურთის ბევრ ცნობილ სპეციალისტს შეხვედრიხართ პირადად.

— მამა შორის პირველი ანდრო ყორდანია გახლდათ. უთღრესად პრინციპული, განათლებული, დიდი ალღისა და გაქანების მქონე მწვრთნელი. რა ვუყოთ, რომ მის ხელში „დინამო“ არც ჩემპიონი გამხდარა და არც თასის მფლობელი? ამას უამრავი მიზეზი ჰქონდა, თუნდაც ის, რომ ყორდანიას ბოლომდე არასოდეს აცილდნენ. მისი იქმნება. ახლანდელ ფეხბურთელებს გოლის გაგებაის პანიკური შიში აქვთ და ცასდი შეტევაზე ნაკლებად ფიქრობენ. ცუდია ისიც, რომ თითო-ოროლა ვარსკვლავი ჩანს. 40-ანი წლების მეწყვილეში საბჭოთა კავშირში თამამად შეიძლებოდა სამი ერთნაირი სიძლიერის ნაკრების შედგენა, ახლა კი ჩვენი მთავარი გუნდის ხელმძღვანელებს თერმეტი ფეხბურთელის ძოძებნა უჭირთ. მაგონდება საუბარი ანდრო ზაზრიოვთან: „მე რომ მაშინ ნაკრებში მოვხვედრილიყავი, უნდა მეთამაშა ბიპაქეზე, ფედოროზე, ბობროფზე, პონომარიოვზე, ბესკოვზე უკეთ, ალარფერს ვამბობ ფეხბურთელებსა და კომბორფზე“. ალბათ ვერასოდეს შეეურთგდები გუნდში თავდამსმელთა რიცხვის შემცირებას. არადა დღეს სამმე იქამდე მივიდა, რომ ზოგი გუნდი ერთი თავდამსმელით თამაშობს. ამ მხრივ, ჩემი აზრით, სხვებზე უკეთესი მდგომარეობაა თბილისის „დინამოში“. გუნდს ჰყავს გუდეკი, შენგელია, მეცხი, ე. ი. მას საშუალება აქვს ითამაშოს სამი თავდამსმელითო. ოღონდ ამიტომ ვიფიცავ „დინამოში“ შექმნილ სიტუაციის ოპტიმისტურად. წლეულს ფაქტიურად ახალი გუნდი შეიქმნა, გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთაც დიდი პრობლემები გადაეჭრა შეუძლიათ. ბაკონი „ნეფინისთან“ და თბილისში „ზენიტთან“ შეხვედრებში მეტი მონდომებითა და წინდახედულად რომ ეთამაშათ, ჩვენები ალბათ უკეთეს ადგილს დიაკავებდნენ. მაგრამ, ვიმეორებ, რაც წელს გაკეთდა, ისიც კარგია.

● რა აზრისა ხართ ახალგაზრდა მაბეიდ ბენსზე?

— თუ მესმი მეტი მონდომებით თამაშობს, უსათუოდ მოიბეკუს სახელს.

● რას იტყვით ქუთაისის „ტორპედოს“ წლეულდელ წარმატებაზე?

— სავსებით დამსახურებული წარმატებაა. ოღონდ, ვფიქრობ, გუნდს დახმარება დასჭირდება, სხვანაირად უმაღლესში ლიგის კოლექტივებს მეორე ადგილის დამკიდერება გაუჭირდება.

● რას ფიქრობთ ჩვენი ფეხბურთის რეზერვზე?

— მწვრთნელთა აზრით სათანადო ცვლა არ ჩანს! საოცარია, ჩვენი ნორმი ფეხბურთელები საკავშირო ბრეზრებაში, როგორც წესი, სპარიზო ადგილებს იკავებენ, მერე კი უკვალოდ ქრებიან! ამაზე ფიქრი ვვმართებს.

● თქვენი აზრით, სპორტის რომელ სახეობაში გამოვიყენერებით შედარებით უფიერულად?

— რა თქმა უნდა, მძლეოსნობაში. ჩვენ გვყავდა ნინო ლუმბაძე, ელენე გოგიეელი, ნადეიდა დვალიშვილი, ლევან სანაძე, რობერტ ბაგლაყაძე, ვიქტორ სანეეეი... მაშინ არც ამდენი მწვრთნელი იყო, არც მოედანი, არც შეჯიბრება, არც ინვენტარი, ჩემპიონები კი იზრდებოდნენ.

● რა აზრისა ხართ დღევანდელ სპორტული რადიო და ტელევიზიებზე?

— რადიო და ტელევიზიებმეს ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა, ჩვენს კომენტატორებს უურადღების გარეშე არ რჩებიან არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში.

საუბარი ჩაიწერა
ბეჟან თორგელმა.

● ● ●

სურათზე: საქართველოს რადიოს სპორტული კომენტატორი ნოდარ ჯაფარიძე ინტერვიუს იღებს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უძლიერეს მძლეოსნის ჯულიეტა ოდილაკაძისგან.

ფოტო ვიდეალებულია 1958 წელს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე.

გულშემატკივრის კუთხე

სპორტი ჩემი მეორე ცხოვრებაა!

ᲘᲒᲘ 40 წელია კეთილსინდისიერად ემსახურება სპორტს. — დიახ, სპორტს. ქსენია ეფრემიდის დიდი ამაგი დასდო ჩვენი ქალაქის სპორტულ ბაზებზე სიკეთე კონტროლის კაბინეტების მოწოდან და მათი გამოცდილი სპეციალისტებით დაკომპლექტების საქმეს.

იგი სიხარულით დაკვირვებას აწარმოებს სპორტსმენებზე, აძლევს მათ სასარგებლო რჩევა-დარიგებებს. მწვრთნელებს ქსენია ეფრემიდი თავის ტოლფასად თანაშეწყვილ მიიჩნევა.

გამოცდილი ექიმი-სპეციალისტი აქტიურ საზეციერო-პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწევა. მისმა ერთ-ერთმა მოსსენებამ მოსკოვში გამართულ საკავშირო კონფერენციაზე (ექიმისპეციალისტთა ტრავმების შესახებ) საერთო მოწონება დაიმსახურა.

ქსენია ეფრემიდი შედამ პოსტზეა. მის მზადყოფნას მნიშვნელოვანწილად სპორტისა და ახალგაზრდობის სიკეთისადმი ერთგულებაზე ამბობენ. ქსენია ეფრემიდი ამოწმებს ახალგაზრდა სპორტსმენის ბალახზე გრიგოლაკის ჯანმრთელობას.

ვალერიან ვენგეროვის ფოტო.

ᲕᲐᲚᲓᲠᲝᲕᲐᲚᲘ

ᲙᲘᲓᲝᲕᲘ ერთ საინტერესო ტრადიციას დაედო საფუძველი: ამას წინათ ვიინმრთა გამოჩენილი ქართველი პოეტების გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი საკავშირო საჭადრაკო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო საშვილოსტმა და შვიდმა ოსტატმა და ოსტატობის კანდიდატმა, მათ შორის მოჭადრაკე ბოგოლუბ სოფიკო ტერენტიევნამ. 7,5-7,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ ბუსიაშვილმა და ოსტატმა ზურაბ ბუსიაშვილმა. III ადგილზე გავიდა ივანე სოფრაშვილი (სიღნაღი) — 5,5. შემდეგ მოდიან: ბესო ნეცერიანი (ტყიბული), გენი ტყეშეიავა (ეხაკაია), ოსტატი ეფუთარ ბარკოფსკი (ლენინგრადი) — 5,5-5,5, სოფლიო ელბაეიძე (ვანი) — 2,5, სოფიო ტერენტიევნა, ნიკოლოზ ლეკვიშვილი — 2-2, ალეკო ვაშაკიძე (სამეგი — საქტყვარი) — 1,5.

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲛᲐᲠᲘᲢᲘᲫᲔ,
მემორიალის მთავარი მსაჯი, ვანის საკუადრაკო კლუბის დირექტორი.

● ● ●

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲕᲐᲠᲐᲯᲘᲡ სასახლეში გაიმართა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ჭიდრაკში ვაჟთა შორის. შეჯიბრებაში 5 ქალაქის 12 წარმომადგენელი მონაწილეობდა. წარმატება წილად ხვდა ბათუმელ ოსტატობის კანდიდატ ლეონიდ ნეურონოვს, რომელიც 9,5 ქულა მოაგროვა. II ადგილზე გავიდა ქუთაისელი მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი ნუკრი მანაგაძე—9.8 ქულით III ადგილი თბილისელ ოსტატობის კანდიდატს ალექსანდრე ხეცილაშვილს ეჭირა.

დასასრულს ჩატარდა ელვისებური ტურნირი, რომელშიც თბილისელმა ირინე წერეთელმა იმარჯვა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲕᲘᲚᲘᲫᲔ,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲥᲘᲓᲝᲠᲐᲒᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲗ გაიმართა იუნორთა საკავშირო ტურნირი თვალუფლო ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ბუნეს შორის ოქვნენ საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების მეჭიდაეეებმა (მწვრთნელი ზურაბ ჯაფარიძე), რომლებმაც საერთო ჩათვლაში III ადგილი დიაკავეს. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ გიორგი ჩიხუნაშვილი (54 კგ), კობა გეორგაძე (58) და კობა ბუზარიშვილი (66), ბრონეკოს ბეგალი გადაეცა გია ჯიოშვილს (75).

● ● ●

სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო საბჭოს პირველობაზე, რომელიც ბრესტში გაიმართა, ჩვენი რესპუბლიკის თვალუფლობაზე ეროვნული თვალუფლობის ტალანტ ბოდაგოვმა (1969-70 წლები დაბადებული) ოქროს მედალი მოიპოვა ბეიორგი ხინჩიგაშვილმა (54 კგ) და ზურაბ კოკილაშვილმა (ძმაძე წონა).

ქალაქ ტრინიოვზეში ჩატარდა საკავშირო პროფკავშირების პირველობა თვალუფლო ჭიდაობაში ᲗᲐᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ. ამ შეჯიბრებაზე პირველი ადგილები დაიკავეს თელაფეში ვახტანგ ლალიაშვილმა (50 კგ) და თბილისელმა ზურაბ კოკილაშვილმა (ძმაძე წონა), ბრონეკოს ბეგალი წილად ხვდა სამტრედიელ აკაკი გაბედავას (76).

ᲙᲠᲘᲖᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. „კრიზისა სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში ჩატარდა საკავშირო შეჯიბრება ცნობილი საბჭოთა მოკრივეების ძმები ოგურეკოვების პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობდა 54 ქალაქის 163 ახალგაზრდა მოკრივე. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: ალექსანდრე მაჰმუტოვი (ელექტროსტალი), სერგეი კუზმინი (ლენინეკი), ალექსანდრე პონომარიოვი (ალეროვი), გაგრმან მიიორიკი (მაგადანი), ამინ სულეიმანოვი (ბუხარა), ოური ფატეეეი (ლიპეცკი), ნიკოლოზ მოროკეინი (ალეროვი), ვლადიმირ სოზნოვეი (მოსკოვის ოლქი), ნიკოლოზ ლებედევი (ბერეზნაკი), ოლეგ აბაშინინ (ეკმერეოვო) და ვიქტორ კოზლოვი (ლეკოვი).



ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ჭაბუკთა რესპუბლიკური

25 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა პირველობის მორიგი ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს:

უფროსი ასაკი (1967-68 წლებში დაბადებულნი): „დინამო“ (ზუგდიდი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:1, „ფილა“ (გორი) — „დინამო“ (ბათუმი) 5:3, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ვანთიადი“ (თბილისი) 1:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ავაზა“ (თბილისი) 0:1, განათლების სამმართველო (თბილისი) — „რიწა“ (გაგრა) 5:1, „ავერია“ (თბილისი) — „დინამო (სოხუმი) 4:1, „ნორჩი სტადიონელი“ (ქუთაისი) — „დინამო“ (თბილისი) 1:0, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 1:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ახ. სად. სკ. თბ.	7	5	2	0	17-6	12
„ტორპ.“ ქუთ.	8	5	2	1	9-3	12
„ავაზა“ თბ.	8	4	3	1	13-5	11
განს. სამმ. თბ.	8	4	2	2	19-9	10
„ავერია“ თბ.	7	4	2	1	13-5	10
„ნორჩ. სტად.“ ქ.	8	3	3	2	7-6	9
„დინამო“ ბათ.	8	3	2	3	9-12	8
„ოლხ.“ ფოთ.	8	1	5	2	3-5	7
„განთ.“ თბ.	8	1	5	2	4-5	7
„დინამო“ სოხ.	8	2	2	4	8-12	6
„დინამო“ ზუგ.	8	2	2	4	5-12	6
„რიწა“ გაგრა	8	1	4	3	9-12	6
„ფილა“ გორი	7	2	1	4	9-17	5
„დინამო“ თბ.	6	1	3	2	5-4	5
„ლოკ.“ სამტ.	8	1	3	4	9-20	5
„გურია“ ლანჩ.	7	0	3	4	6-11	3

უმცროსი ასაკი (1968-69 წლებში დაბადებულნი), I ჯგუფი: „იმედი“ (რუსთავი) — „ავაზა“ II (თბილისი) 4:1, „დინამო“ (ბათუმი) — სპორტინტერნატი II (თბილისი) 1:1, სპორტსკოლა (სოხუმი) — 35-ე სკოლა I (თბილისი) 1:0, „ნარინჯი“ (ნატანები) — განათლების სამმართველო II (თბილისი) 2:1, „შერეცხალი“ (ზახარიეთ) — „ფოლადი“ (რუსთავი) 3:3.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 დეკემბრისთვის

განს. სამმ. II თბ.	7	4	2	1	12-7	10
„დინ.“ თბ.	6	4	1	1	13-3	9
„იმედი“ რუს.	6	4	0	2	18-9	8
სპორტსკ. სოხ.	6	4	0	2	10-5	8
„ავაზა“ II თბ.	7	3	2	2	10-8	8
35-ე სკ. I თბ.	7	2	3	2	7-7	7
„დინამო“ ბათ.	6	2	3	1	9-13	7
„ნარ.“ ნატ.	6	3	0	3	12-8	6
„ფოლ.“ რუს.	6	1	1	4	8-17	3
სპორტინ. II თბ.	7	1	1	5	3-11	3
„შერეხ.“ ზახ.	6	0	1	5	4-18	1

II ზონა: „მართვე“ (ქუთაისი) — „დინამო“ (მე-100 სკოლა, თბილისი) 1:0, „რიწა“ (გაგრა) — 35-ე სკოლა II (თბილისი) 2:1, „ალანი“ (ცხინვალი) — განათლების სამმართველო I (თბილისი) 1:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „სულორი“ (ვანი) 3:0, „მართვე“ (გორი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0, „ავაზა“ I (თბილისი) — ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა I (თბილისი) 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 დეკემბრისთვის

„დინამო“ თბ. (მე-100 სკ.)	7	5	1	1	14-1	11
„მართვე“ ქუთ.	7	5	1	1	15-6	11
„ალანი“ ცხ.	7	4	3	0	14-2	11
„ავაზა“ I თბ.	7	4	1	2	14-7	9
ახ. სად. სკ. I თბ.	7	3	3	1	5-2	9
„რიწა“ გაგრა	7	3	1	3	13-10	7
განს. სამმ. I თბ.	7	3	1	3	12-11	7
„დინამო“ ზუგ.	7	3	1	3	10-12	7
„მეშ.“ ტყიბ.	7	2	1	4	5-16	5
35-ე სკ. II თბ.	7	1	1	5	6-15	3
„მართვე“ გორი	7	1	1	5	4-16	3
„სულ.“ ვანი	7	0	1	6	4-18	1

III ზონა: სპორტსკოლა (გუდაუთა) — ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა II (თბილისი) 0:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „ვანთიადი“ (თბილისი) 1:1, „მართვე“ (ფოთი) — „ავერია“ (თბილისი) 0:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დინამო“ (ქობულეთი) 3:4, „მართვე“ (ბათუმი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:0, სპორტინტერნატი (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 0:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 დეკემბრისთვის

„მართვე“ ბათ.	7	6	0	1	14-3	12
სპორტინ. I თბ.	7	5	1	1	16-3	11
„ავერია“ თბ.	7	4	2	1	9-3	10
სპორტსკ. გუდ.	7	4	1	2	11-7	9
„დინამო“ ქობ.	7	3	1	3	11-14	7
„მართვე“ ფოთი	7	1	4	2	6-7	6
ახ. სად. სკ. II თ.	7	1	4	2	5-9	6
„ტორპ.“ ქუთ.	7	1	3	3	9-11	5
„ლოკ.“ თბ.	7	1	3	3	4-7	5
„განთიადი“ თბ.	7	1	3	3	5-10	5
„გურია“ ლანჩ.	7	1	3	3	4-12	5
„ლოკ.“ სამტ.	7	0	3	4	6-13	3

„ლელოს“ პრიზი — ქუთაისელებს

თბილისს „დინამოს“ პირველ გუნდსა და ხარკოვის კალათბურთელთა შეხვედრას, რომელიც ბოლო მატჩი იყო ჭაბუკ კალათბურთელთა თბილისის პირველ საგაზაფხო ტურნირზე, საბოლოოდ უნდა გაეჩკვია თუ ვის გადაეკეთებოდა ასპარეზობაზე ჩვენი რეგიონის ბიურ დაწყებული პრიზი.

ითმასთვის, რომ პირველ ადგილზე გასულიყვნენ, თბილისელებს უეიელებად უნდა მოეგოთ შეხვედრა. ჩვენი ბიჭები, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ სპასუხისმგებლო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება, გადამწყვეტ მატჩში მეტისმეტად ნერვიულობდნენ, ამიტომ სრულად ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობანი. წინ მატწილად ხარკოველები იყვნენ. შეხვედრის მეორე ნახევრიდა ერთხანს თბილისელები დაწინაურდნენ, მაგრამ სტუმრებმა უმალვე ალადგინეს წონასწორობა. თამაშის ბოლო წუთზე, როცა ანგარიში გათანაბრდა, მასპინძლებმა რამდენიმე კომბინაციური შეტევა განახორციელეს, მაგრამ ტაო-რცენი მიზანს ასცდა. სამაგიეროდ, ხარკოველებმა ზუსტად გამოიყენეს კონტაშეტევის ბოლო ტაორცნა და გაიმარჯვეს კიდევ — 51:50 (19:19).

ასეთ სიტუაციაში გუნდს, რომელშაც დანარჩენ მეტოქეთა გადამწყვეტ შეხვედრამდე დამთავრა ასპარეზობა, საპრიზო ადგილზე ვასელის მხოლოდ თეორიული შანსი აქვს დარჩენილი. თუმცა, ასეთ ვითარებაში ბედი იშვიათად სწყალობს შანსს იმედად დარჩენილი. სიმართლე რომ ითქვას, არც ქუთაისელ ჭაბუკებს და არც მათ მწვრთნელს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს ზაურ ჩარკვიანს, თეორიული შანსის იმედი არ ჰქონიათ, მეტიც, როგორც შემდეგ გაირკვა, ასეთი რამ ფიქრადაც არ მოსულათ და ინ... პირველობისთვის თბილისელ და ხარკოველ მეტოქეთა მატჩი დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით. ქუთაისელ ჭაბუკებს ხარკოველ თანატოლებთან 17 ქულის სხვაობით ჰქონდათ მატჩი მოგებული და ტურნირის გამარჯვებულის ბედიც ამან გადაწყვიტა.

ქუთაისის დინამოელები მეტოქეთა შეხვედრას ტრიბუნიდან აღევლებდნენ თვალს. იქვე ეწვიათ გამარჯვების სიხარული. რამდენიმე წუთის შემდეგ თვალებგაბრწყინებული ჭაბუკები ასპარეზობის ორგანიზატორების და გულშემატკივრების მოლოცვებს იღებდნენ შეჯიბრების დახურვის ცერემონიალზე. მეორე ადგილზე თბილისის „დინამოს“ პირველი გუნდი გავიდა, მესამე ადგილი ხარკოველებს ხვდათ წილად. საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადაეცა ნოდარ გრძელიშვილს (ბმილი 1).

ახლა სიტყვა მივეცეთ ასპარეზობის სტურმრებს. **ალექსანდრე ბაბუშაძე:** ხარკოველთა გუნდის მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი: მალლობა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკურ სასპორტ ტურნირისათვის. ეს ასპარეზობა ნორჩებისთვის მრავალმხრივ სასარგებლო იყო. მათ შეიძინეს გამოცდილება, იიმოლეს სპორტული ოსტატობის დონე, თბილისში დაესწრნენ ქვეყნის ჩემპიონატზე უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა ასპარეზობას, დათვალიერეს სეკანთელთა დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები. ნორჩ კალათბურთელთა თბილისის საკავშირო ტურნირი გაზეთ „ლელოს“ პრიზზე ტრადიციული თუ გახდება, ჩვენ ერთ-ერთ მეფმივ მონაწილედ გვიგულეთ.

ზაურ ჩარკვიანი: საკავშირო ტურნირში პირველად გამოვიცანთ, სხვათა შორის ოგერ უკვე რამდენიმე წელია ყველას ვეხვეწებით დიდ შეჯიბრებებზე მიგეწვიეთ. ბიჭებმა შესანიშნავი გაკვეთილი მიიღეს. გამარჯვება ორმაგად გვახარებს.

თენგიზ ჩუბაბრია.

* * *

სურათზე: „ლელოს“ პრიზის მფლობელი — ქუთაისის „დინამოს“ ნორჩი კალათბურთელები. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ზონაში პირველი ადგილისთვის

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის II ჯგუფის აღმოსავლეთ ზონაში პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ქუთაისი თანაბარი ოდენობის მოგროვილ გერის რაიონის „ქართლმა“ და მარნეულის „ალგეთმა“. დეკემბერის თანამბამდ, ზონაში გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი შეხვედრა.

ეს მატჩი გუშინ გაიმართა ფბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

საინტერესო თამაში მოიგო „ქართლმა“ — 1:0.გორის რაიონის ფეხბურთელებმა გაიხარეს საქართველოს ჩემპიონატის I ჯგუფში ითამაშებენ.

სურათზე: „ქართლისა“ და „ალგეთის გუშინდელი შეხვედრის მოგენტი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ნარ კაპვერის რამდენიმე საკლუბო გუნდმა უცხოეთში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები გამართა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ტურნე დაამთავრეს ვილნიუსის „ჟალგირისის“ ფეხბურთელებმა. ვილნიუსელებმა 2 მატჩი ჩაატარეს, დალიანში დამარცხდნენ — 0:2, ხოლო შანხაიში გამარჯვეს — 2:0.

ბანგკოკში ითამაშა ოდესის „ჩერნომორეცმა“. ოდესელებმა ანგარიშით 1:0 მოუგეს ტაილანდის ჯაბუკთა ნაკრებს.

დონის როსტოვის არმიელთა გუნდი ბაღდადში შეხვდა ერაყის ახალგაზრდულ ნაკრებს. როსტოველებმა გაიმარჯვეს — 1:0.

ინფორმაცია

კლატინი, კლატინი...

ინგლისის ცნობილმა საფეხბურთო ტურნირმა „ფორლდ სოკერმა“ თავის ხელისმაწერთა გამოკითხვის შემდეგ მსოფლიოს 1984 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი, იტალიის „იუვენტუსის“ მოთამაშე მიშელ პლატინი. მეორე ადგილზე გავიდა ბოტანადელი იან რაში, მესამეზე — ბრაზილიელი ზიკო.

იმავე „ფორლდ სოკერის“ გამოკითხვის საფეიქეულზე ნაკრებ გუნდს შორის მსოფლიოში უძლიერესად დასახელებული ეფრპის ჩემპიონი — საფრანგეთის ნაკრები, ხოლო მწვრთნელთა შორის საუკეთესოდ მიჩნეულია საფრანგეთის გუნდის ხელმძღვანელი მიშელ იდალგო.

ასე რომ, „ფორლდ სოკერის“ მკითხველთა აზრით ახლა მსოფლიოში ფრანგული ფეხბურთია საუკეთესო.

საბჭოთა გუნდები საზღვარგარეთ

ბერლინთან გაყიდეს... ბანანი

ამ დღეებში ნიუ-იორკში იმყოფებოდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო

სალონიკის ოლიმპიადაზე

ისევ გაიმარჯვეს

საბერძნეთის ამ ზღვისპირა ქალაქში გრძელდება მოჭადრაკეთა გრანდიოზული შეჯიბრება. ყოველ ტურში — ვაჟთა 44 და ქალთა 25 მატჩში შესაბამისად 176 და 75 პარტია თამაშდება. ასზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები (სულ 502 მოჭადრაკე) თავგამოდებით იბრძვიან ოლიმპიადის მედლებისთვის.

ოლიმპიადაზე კვლავინდებურად ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები. 11 ტურის შემდეგ ჩვენს ქალთა გუნდს 26,5 ქულა (33-დან) აქვს, ვაჟთა ნაკრებს — 31,5 (44-დან).

XI ტურში მოჭადრაკე ქალებმა დაამარცხეს აშშ-ის ნაკრები — 2,5:0,5. პარტიები მოიგეს ნონა გაფრინდაშვილმა და ლიდია ფალე